ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4749527

ნომერი: AR1716538

თარიღი : 04.11.2019

გაცემის თარიღი : 13.11.2019

გაცნობის თარიღი : 13.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 1 , (ნაკვ.36/18);

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ჯიჯავაძე პ/ნ 61008001002
- ქ.თბილისი, თ. ერისთავის #1/ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1716538 განცხადებაზე №4742818 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული და ახალი დოკუმენტაციით გამოვლინდა ახალი გარემოებაც, კერძოდ:

1. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ფოტომონტაჟზე სახურავის სიმაღლე კვლავ არ არის დაწეული არსებული შენობის მხარეს. დაწიეთ აღნიშნული და ჭრილის მსგავსად მიუთითეთ სიმაღლის ნიშნული (ნახაზები და ფოტომონტაჟი უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს).

2. ტოპოგრაფიულ გეგმაზე და ფრაგმენტულ გენგეგმაზე ქუჩის მხარეს საკადასტრო საზღვარი არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას, კერძოდ საკადასტრო გეგმის მიხედვით საზღვარი გადის ზედ შენობაზე და ღობეზე, ხოლო წარმოდგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზე და ფრაგმენტულ გენგეგმაზე საზღვარი გადის მოშორებით და ათვისებულია ტროტუარის ნაწილიც. ტოპოგრაფიულ გეგმა და ფრაგმენტულ გენგეგმა მოიყვანეთ საკადასტრო გეგმასთან შესაბამოსბაში ან თუ საკადასტრო გეგმა არ შეესაბამება რეალობას, მაშინ მიწის ნაკვეთის ახალი აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსიის (UTM კოორდინატთა სისტემაში) საფუძველზე საჯარო რეესტრში განაახლეთ საკადასტრო გეგმა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.